

გოდერძის ვულკანოგენურ-დანალექი წყების ნამარხი ფლორა და პოსტვულკანური მინერალიზაციის პროცესი

ბეჟან თუთბერიძე¹, მარიამ ახალკაციშვილი², მირიან მაქაძე³, ნინო კობახიძე⁴
bejan.tutberidze@tsu.ge, mariam.akhalkatsishvili@tsu.ge

^{1,2,3,4} გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
უნივერსიტეტის ქ.13, 0186, თბილისი, საქართველო

გოდერძის წყების ვულკანოგენურ-დანალექ წარმონაქმნებში მოქცეულ ნამახი ფლორა დიდი ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას, როგორც შემცველი წყების ასაკისა და კლიმატური პირობების აღდგენის ერთერთ განმსაზღვრელ ფაქტორს; წყების ტუფოგენურ ნაწილში მოქცეული ნამარხი ფლორის ნაშთები წარმოდგენილია კარგი დაცულობის სხვადასხვა ზომისა და მორფოლოგიის ფოთლების აღნაბეჭდების, მთლიანად გაკაჟებული დიდი ზომის მცენარეებისა და ცალკეული ღეროების სახით. ჩვენს მიერ შეგროვილი ფლორის მდიდარი კოლექცია შემდეგ სახეებს აერთიანებს: *Myrtus sp.*, *Platanus aceroides*, *Corylus insignis Heer*, *Sapindus cupanoides ett.*, *Acer sp.*, *Quercus neriifolia A.Br.* და სხვ. ფლორის აღნაბეჭდების მორფოლოგიის შესწავლა ჩატარდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის პალეობიოლოგიის ინსტიტუტში. დადგინდა ნამარხი ფლორის ახალი სახეებიც, აღწერილი ნიმუშები დამახასიათებელია სუბტროპიკული ჰავის პირობებისთვის და ზოგირთი მკვლევარის მიხედვით დასავლეთ ევროპის ოლიგოცენური და ქვედა მიოცენური ფლორის თითქმის იდენტურია. გოდერძის წყების ვულკანოგენურ-დანალექი წყებაში აღინიშნება პოსტვულკანური ჰიდროთერმული პროცესის პროდუქტები, რომელთაგან წამყვანია კალციტი და ქალცედონი, წარმოდგენილი მარღვაკებისა და ბუდეების სახით; სავლელ დაკვირვებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კალციტ - ქალცედონური ტიპის მინერალიზაციის პროცესი წარიმართა გოდერძის წყების პიროკლასტური ნაწილის ფორმირების დამამთავრებელ ეტაპზე, ანდეზიტური ლავური ნაკადის ფორმირებამდე. განსხვავებულ ჭრილებში მინერალთა მსგავსი პარაგენეტული ასოციაციები მიუთითებს მათი საერთო მკვებავი მაგმური კერის არსებობასა და წარმომშობი ხსნარების პოსტვულკანურ ჰიდროთერმულ ბუნებაზე.